

სსიპ კოლეჯი „ბლექსი”

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

ცნობარი

2024-2025 წლის
საგაზაფხულო მიღება

ერთად შევქმნათ ჩვენი მომავალი

blacksea.edu.ge

info@blacksea.edu.ge

+995 422 24 77 50

ბათუმი, მ.ლერმონტოვის ქ. # 92 ა

შუახევი, ი. ჭავჭავაძის ქ. 8

ქედა, ა. წერეთლის ქ. 4

რატომ კოლეჯი „ბლექსი” ?!

- კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით (მათ შორის, კოოპერაციული, იმიტირებული, დუალური და ინტეგრირებული) სწავლების მიდგომით ტურიზმის, მშენებლობის, ინჟინერიის, აგრარული და ტექსტილის მიმართულებით

- კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებთან

- პროფესიის დაუფლება შეგიძლიათ ნებისმიერ ასაკში

- კოლეჯში სწავლა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ
-
- შშმ და სსსმ პირებისთვის ადაპტირებულია სასწავლო გარემო

- IT მიმართულების კურსდამთავრებულებისთვის გაიცემა Cisco-s საერთაშორისო ქსელური აკადემიის სერტიფიკატი

- პროფესიული სტუდენტი ერთჯერადად გათავისუფლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან

2024 წლის საგაზაფხულო მიღება

➡ბათუმის მისამართი:

✅სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული)- 3 სასწავლო წელი
✅კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)- 3 სასწავლო წელი
✅კულინარიის ხელოვნება (მოდულური)-15 სასწავლო თვე
✅კონდიტერია (მოდულური)- 16 სასწავლო თვე
✅სამკერვალო წარმოება (მოდულური)-19 სასწავლო თვე
✅ელექტროობა (მოდულური)-9 სასწავლო თვე

➡შუახევის მისამართი:

✅ელექტროობა (მოდულური) -9 სასწავლო თვე
✅შედუღება (მოდულური)-7 სასწავლო თვე

➡ქედის მისამართი:
ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური)-11 სასწავლო თვე

სსიპ კოლეჯი

„ბლექსი“

სწავლას სახელმწიფო აფინანსებს

გაიცემა ორენოვანი დიპლომი

რა არის ინტეგრირებული პროგრამები?

- პროფესიის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიღება
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კომპონენტი + პროფესია
- შესაძლებლობა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

სასტუმრო მომსახურება
ინტეგრირებული

პროგრამის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს სასტუმრო მომსახურების სპეციალისტები.

სწავლის შედეგები:

- განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა;
- უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება;
- შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა;
- უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა;
- სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები;
- აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა;
- უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.

დასაქმების შესაძლებლობები:

სასტუმრო მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციაზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების ობიექტებში.

კომპიუტერული ქსელი და სისტემები
ინტეგრირებული

პროგრამის მიზანი – კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს

სწავლის შედეგები:

• სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა;
• Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
• ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური
ადმინისტრირება;
• ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება;
• დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება;
• ფაილური და ბეჭდვის სერვერის ბაზისური მართვა;
• სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა.
• Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა;
• Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება;
• Linux-ის ფაილური სისტემის მართვა;
• კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა;
• სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება;
• დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება;
• კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;
• ვირტუალური ლოკალური ქსელის ბაზისური კონფიგურირება

კულინარიის ხელოვნება
მოდულური

პროგრამის მიზანი: ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სასტუმროს და რესტორნის სამზარეულოში მუშაობას კვების ჰიგიენის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.

სწავლის შედეგები:

მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები;

• მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები;

დასაქმების შესაძლებლობები:

კულინარიის ხელოვნების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროში, რესტორანსა და სხვა კვებისა და შინა ობიექტებში, სადაც გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს შემდეგ პოზიციებზე: სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი, მზარეულები, სამზარეულოში დამხმარეები.

კონდიტერია

პროგრამის მიზანი: მოამზადოს კონდიტერიის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა სახის საკონდიტრო ნაწარმის მომზადებას სანიტარულ – ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.

სწავლის შედეგები:

- მოამზადოს სხვადასხვა სახის პურ-ფუნთუშეული, მათ შორის ბრიოში;
- მოამზადოს კრუასანი, დენიშები, ნამცხვრები;
- მოამზადოს საკონდიტრო კრემები, სუფლე, ზეფირი დაგანაში;
- მოამზადოს ვაჟინი, საკონდიტრო სოუსი, მინანქარი, ჟელე, მარმელადი, ჯემი, კონფიტიური, ჭიქურა
- მოამზადოს შოკოლადი, შაქრის ცომი, მარციპანი და კარამელი;
- მოამზადოს ცივი და ცხელი დესერტები;
- შეადგინოს სადღესასწაულო ტორტის ესკიზი და ნახაზი;
- გამოაცხოს სხვადასხვა სახის ტორტი;
- აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

დასაქმების შესაძლებლობები:

კონდიტერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საკონდიტრო საამქროებში,
საცხობებში, სუპერმარკეტებში, სხვადასხვა კლასის რესტორნებში, კაფეებში, სასტუმროებში, საკურორტო, გასართობ, ტურისტულ კომპლექსებში შემდეგ პოზიციებზე: მცხობელები, მეშოკოლადეები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები. კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება – თვითდასაქმება.

სამკერვალო წარმოება

პროგრამის მიზანი: სამკერვალო წარმოებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას

სწავლის შედეგები:

- შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის კომპოზიცია;
- გაიანგარიშოს საწყისი მონაცემები ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარებისათვის;
- შეასრულოს მასალაში ქართული ეროვნული სამოსი;
- შეასრულოს მასალაში ქალის, კაცის და ბავშის ტანსაცმელი;
- გადააკეთოს ტანსაცმელი;
- აღადგინოს ტანსაცმლის დაზიანებული უბნები.

დასაქმების შესაძლებლობები:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით სამკერვალო წარმოებაში პირს შეუძლია დასაქმდეს დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში მკერავის და კონსტრუქტორის პოზიციაზე.

ელექტროობა

ბათუმი
შუახევი

პროგრამის მიზანი: დაბალი ძაბვის ელექტროობაში შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

სწავლის შედეგები:

გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
• დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
• მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
• გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
• წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
• შექმნას და წარადგინოს პროექტი.

დასაქმება

ელექტრიკოსი;
• ელექტრო გაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე;
• განათების სისტემების მემონტაჟე;
• ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე;
• დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე;
• ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე;
• ასაფრენ – დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე;
• მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე.

შედუღება

შუახევი

შედუღების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორიცაა: შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრის ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში. პირს შეუძლია იყოს თვითდასაქმებული

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეადუღოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით
- დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
- შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
- შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით



ინფორმაციის ტექნოლოგია
ქედა

წწავლის შედეგები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამოტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვაოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

დასაქმების შესაძლებლობები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
კურსდამთავრებულსშეუძლია დასაქმდეს ტექნიკური
მხარდაჭერის
სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ
ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება
ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართული არიან პროფესიული სტუდენტის მხარდამჭერი სპეციალისტები:

- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი
- სასწავლო პროცესის ასისტენტი
- ჟესტური ენის თარჯიმანი
- მობილობა-ორიენტაციის ტრენერი
- ინდივიდუალური ასისტენტი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები:

- **რეგისტრაცია vet.emis.ge**
- **მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სსსმ პირის შეფასება**
- **პრაქტიკული მოსინჯვა**
- **პროგრამის არჩევა**
- **დაწესებულებაში ჩარიცხვა**

2024 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობა- მინიმუმ საბაზო განათლება

ინტეგრერიბულ პროგრამებზე- საბაზო განათლება

ძირითადი შერჩევის მეთოდი-მოტივაციური გასაუბრება

გამონაკლისი- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამკერვალო წარმოება" ძირითადი შერჩევის მეთოდი - შემოქმედებითი ტური

რეგისტრაცია: 22 აპრილი-16 მაისი

მოტივაციური გასაუბრების პერიოდი:
17 მაისი-17 ივნისი

ჩასარიცხ აპლიკანტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები:

✅ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
✅მინიმუმ საბაზო (9კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი; დიპლომი) ასლი
✅ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში - საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
✅შედუღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტმა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს ჯანრთელობის შესახებ ცნობა
✅თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია: მშობელმა/ კანონიერმა წარმომადგენელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

- საკუთარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- აპლიკანტის დაბადების მოწმობის ასლი;
- საჭიროების შემთხვევაში მზრუნველობის შესახებ მშობლის მიერ გაცემული ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი (მინდობილობა)

✅აპლიკანტმა, რომელმაც უცხოეთში/ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღო განათლება, უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ

სიახლე 2024 წელს ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტებთან დაკავშირებით

17 წელს მიღწეული აპლიკანტი (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) ვალდებულია წარმოადგინოს წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი/აპლკანტის წარმომადგენელი, ასევე წარმოადგენს:

ა) ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებულს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

ბ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:

ბ.ა) აუდიოგრამას (სმენის დარღვევისას);

ბ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემულ ცნობას (მხედველობის დარღვევისას);

გ) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობას, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირმა დამატებით არსებობის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ არის:

ა) მრავალშვილიანი მშობლების შვილი

ბ)ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში, როგორც შემწეობის მიმღები პირი

გ) მინდობით აღზრდაში მყოფი/მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებიდან/ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი/ ან სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული პირი.

დოკუმენტების წარმოუდგენლობა/ არასრულყოფილად წარდგენა ან ვერ წარმოდგენა გახდება ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი

კოლეჯ “ბლექსის” 2023-2024 წლის მიღწევები



ერთად შევქმნათ ჩვენი მომავალი